



რ/კ „საქართველოს სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკის და ჰაერის კონდიციონირების ინჟინერთა ასოციაცია“ არის ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც აერთიანებს სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკის, თბური ტუმბოებისა და ჰაერის კონდიციონირების დარგის მომსახურების ცენტრებს, იმპორტიორებს, დისტრიბუტორებს, ამ ტექნიკის საბოლოო მომხმარებლებს, აგრეთვე მეცნიერებსა და ტექნიკოსებს. ამასთან ჩვენ ვამყარებთ კავშირს საზოგადო და კერძო სექტორებს შორის, რათა ხელი შევუწყოთ ახალი საერთაშორისო მოთხოვნების, სტანდარტების, სახელმძღვანელო მითითებებისა და პრაქტიკული გამოცდილების დანერგვას ამ დარგში.

ამონარიდი ასოციაციის წესდებიდან.

მუხლი 5. ორგანიზაციის მიზნები და საქმიანობა

1. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე დედამიწის ოზონის შრის დაცვის, პლანეტის კლიმატის ცვლილების და სხვა ეკოლოგიური პრობლემების შესახებ საერთაშორისო და ეროვნული დადგენილებების, გადაწყვეტილებების, რეკომენდაციების და ნორმატიული აქტების შემუშავებაში მონაწილეობა და რეალიზაცია სამაცივრო, კრიოგენული ტექნიკის, თბური ტუმბოების და კონდიციონირების სისტემების სფეროში.

მუხლი 7. ორგანიზაციის წევრობა

4. ორგანიზაციის წევრს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვაში, ორგანიზაციის გეგმების, პროგრამების, პროექტების და სხვა ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;
- ბ) აირჩიოს და არჩეული იქნეს ორგანიზაციის მმართველ ან მაკონტროლებელ ორგანოებში;
- გ) დაასახელოს ასარჩევ პირთა კანდიდატურები;
- დ) ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად ისარგებლოს ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

საწევრო გადასახადის ოდენობა.

წევრის სტატუსი	საწევროს ოდენობა, ლარი წელიწადში
კოლექტიური წევრი	-
ინდივიდუალური წევრი 30 წლის და მეტი ასაკის	-
ინდივიდუალური წევრი 30 წლამდე ასაკის	-

საქართველოს სამაცივრო და კრიოგენული ტექნიკისა და ჰაერის კონდიციონირების ინჟინერთა ასოციაციაში პროფესიონალთა გაერთიანების ძირითად არსს წარმოადგენს მათი პროფესიული ინტერესების დაკმაყოფილების, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ზოგადსაკაცობრიო ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილი.

რატომ უნდა გავწევრიანდეთ ასოციაციაში.

ასოციაციის წევრობა უპირველეს ყოვლისა ხელს უწყობს სპეციალისტთა პროფესიულ ზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რადგან ასოციაციის წევრს საშუალება აქვს:

- * რეგულარულად მიიღოს უახლესი ინფორმაცია დარგის შესახებ, მათ შორის
 - ✓ მსოფლიოში დარგის განვითარების პერსპექტივებზე,
 - ✓ საქართველოს კანონმდებლობაში დარგთან დაკავშირებით მიღებულ ცვლილებებზე;
- * გაავრცელოს ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ ასოციაციის ვებ-გვერდისა და პერიოდული გამოცემების მეშვეობით;
- * შეღავათიან პირობებში გაიაროს სწავლება მონრეალის ოქმით აღიარებული პროგრამით „მომსახურების თანამედროვე პრაქტიკა“;
- * დაამყაროს ურთიერთსასარგებლო კავშირები სანდო პარტნიორებთან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ;
- * მონაწილეობა მიიღოს:
 - ✓ დარგის განვითარებასთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო შეხვედრებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში და ა.შ.,
 - ✓ ასოციაციის მიერ განხორციელებულ პროექტებში,
 - ✓ დარგის განვითარებასთან დაკავშირებულ დებატებში რეალურ და ონლაინ რეჟიმში.